# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 91 კვირა, 26 აპრილი 1909 წ. № 91

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 12 საათიდან დღის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



22 აპრილს ღამე ხან-მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა სტატსკი სოვეტნიკი

**დავით ბესარიონის ძე ლოლობერიძე,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძისა,** ცოლის და **კნიაჟნა ბარბარე მიხეილის ასული** და ცოლის ძმები **გიორგი** და **ნიკოლოზ მიხეილის ძენი მელიქიშვილები.** პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე გარდაცვალებულის ბინაზე ბროსსეს ქუჩა, № 11 გამოსვენება სახლიდან კვირას, 26 აპრილს, დილის 9 ს. **წმ. სამების ეკლესიაში,** (ფოსტის გვერდით). დაკრძალვა ამავე დღეს წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოზე. (3—223—2)

წარმოდგენა № 14 **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 14

კვირას, 26 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად** ქართულ სცენაზე ცნობილი **ახალი პიესა**

**ვალერიან გუნიას საბენეფისოდ**

## ჩ-ე-რ-ჩ-ე-ტ-ი

კომ. 4 მოქმ. ლ. ფულდისა, თარგ. ვალ. გუნიას მიერ.

მონაწილ. მიიღებს მთელი დასი **ადგილების ფასი დაკლებულ.**

წარმოდგენა დაიწყება საღამოს $8^1/_2$ საათზე და გათავდება 11 საათზე.

**ბილეთები არავის არ გაეგზავნება.**

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია

**მაისის პირველ რიცხვებში მუშტაიდის ბაღში**

**გაიმართება**

## დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია

**ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

**ლატარიაში ყველა ბილეთი მომგებიანია**

„საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, კეთილ ინებონ და გამოგზავნონ შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში (სასახლის ქ , თ.-აზნაურობის ქარვასლა), ან სეირნობის გამგის ელისაბედ ალექსანდრეს ასულის ყაზბეგის ბინაზე (ოლგას ქ. № 4).

გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს.

**მიიღება ხელის მოწერა**

## დუტუ მეგრელის ნაწერებზე

**ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ აპრილსა და აგრეთვე მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების" რედაქციის სახელზე ტფილისში.

**ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,**

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ზოლმე გაზეთ „დროება"-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (12—უ.—6)

## ბიურო

**კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა**

ტფილისში (ალექსანდრეს ბაღი)

**ჰყიდის წელს**

## შაბიამანსა და გოგირდს

მხოლოდ უმაღლეს ხარისხისას. (4—180—4)

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

იყიდება საგანგებოდ, შეგნებით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კავიდის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ქძნმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.

ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილეს დიმიტრიადთან და ექვ. ბერძენიშვილთან.

ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თოდორაძესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიხარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარზედ—ა. ნიკოლაშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. შანავასთან. (23—121—20)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ბედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 49)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—63)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხაროვსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—132)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—109)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ა. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—113)

**მაღაზია იკეტება 1 მაისს.**

**ისარგებლეთ შემთხვევით!**

საოცარი იაფი ფასები

## მხოლოდ 4 დღეს

**27, 28, 29 და 30 აპრილს.**

ვაჭრობის მოსპობისა გამო.

## ძმ. ა. და ი. ალშვანგების მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზე,

აბრეშუმის, ბატისტის ხალათებს, პენუარებს, მატინეს, ბავშვის ტანისამოსს, სალოფებს, კაპორებს, ქამრებს. უკვე დაკლებულ ფასსზე კიდევ დააკლდება.

**25%.**

ყველა დანარჩენ საქონელს, მაგალითად—კაცის, ქალის და ბავშვის საცვალს, ტილოს, სუფრეულს, ჩულქებს, წინდებს და სხვებს.

**უკვე დაკლებულ ფასსზე დააკლდება კიდევ 15%.** (4—6.—1)

ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. გ. ფელდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—46)

**სახალხო თეატრი**

**ზუბალაშვილებისა.**

კვირას, 26 აპრილს 1909 წ. ოპერის არტისტთა ამხანაგობის მიერ გამოჩენილ არტისტ **ბ რ ო დ ჯ ი ს** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## სევილიელი დალაქი

კომ. ოპერა 3 მოქ. მუსიკა როსინისა.

ფიგაროს როლს შეასრულებს ბ-ნი **ბროდჯი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აგასოვისა, სტოვინისა; ბ-ნნი ბროდჯი, ივანოვი, კუზავოვი, კოსტინი, ნესტეროვი, მიპუჩინი და სხვ.

დირიჟორი **პ. ფალიაშვილი.**

რეჟისორი **კუზაკოვი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი 30 კაპეიკიდან 2 მანეთამდე. მოწაფეთათვის თავისუფალი ადგილები 40 კაპ.

ბილეთების ყიდვა შეიძლება ყოველდღე თეატრის კასაში დღის 12 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. დაწვრილებით პროგრამებში.

ადმინისტრატორი **თ. დოლიძე.**

## ვამზადებ

**საშუალო სასწავლებელთა**

**მოწაფეებს.**

ვასწავლი: ფრანგულს, გერმანულს და ლათინურს ენებსა. ფასი შეღავათიანია.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, «Семейные номера», N 12. (4—218—3)

**ამერიკულ ვაზის სანერგე**

## კლუ-ეგურული

**ქუთაისში.**

უფასოდ უგზავნის მსურველს სიას დარჩენილ ვაზებისას გასასყიდად 1909 წელს. (3—ნ.—3)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე $2^1/_4$—4 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2. საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—32)

## შემთხვევით

**იყიდება**

2 სართულიანი **სახლი** ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ჩაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გროზნენსკის შესახვევი, № 4. პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა **„სინათლე"**-ში. (4—213—4)

**სტუდენტი-რეპეტიტორი** ხელის-მისაწვდენ ფასად ასწავლის და ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის. იკითხეთ რედაქცია „დროება".

**ქუთაისის ქართულ დრამატიულ**

## საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 28 აპრილს, საღამოს 7 საათისთვის, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება.

**განსახილველი საგნები:**

1. გამგეობის მოხსენება;
2. წარსული წლის ანგარიში;
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება;
4. მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და.
5. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. (2—2)


## ტფილისი, 26 აპრილი

სპარსეთის ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში კვლავ დადგა ახალი ხანა: შაჰმა გამოაცხადა კონსტიტუციის აღდგენა და ახალ მეჯლისის მოწვევა... ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ შაჰის ასეთი ნაბიჯი გამოწვეულ იქმნა ოსმალეთში მომხდარ ამბებით. ხალხის მრისხანე გამარჯვებასა და „დიდებულ ხალიფის"—სულთანის—სასტიკ დასჯას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა სპარსეთის მტარვალზე. ისედაც დაუძლურებული რევოლიუციასთან ბრძოლაში შაჰი დარწმუნდა, რომ ხალხთან ბრძოლა მეტად სახიფათოა, რომ გაღვიძებულს ქვეყანაში მმართველის ვერაგობა სასტიკად დაისჯება, თუ დროზე არ დასთმო, თუ არ შეურიგდა ხალხს.

რასაკვირველია, სპარსეთის რევოლიუციის ამ ახალ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი მოწმობს, რომ მოძრაობა ძლიერია, ნიადაგი აქვს ხალხში, წინააღმდეგ შემთხვევაში შაჰი ყურსაც არ გაიბერტყავდა და ოსმალეთის რევოლიუციის არავითარ ფასს არ დასდებდა. მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, ამ ფაქტის მნიშვნელობა გავაზვიადოთ და ვიფიქროთ, რომ სპარსეთის განახლება ამიერიდან უზრუნველყოფილია. ახლანდელ შაჰის მთელი მოქმედება ტახტზე ასვლის დღიდან მოწმობს, რომ იგი ასე ადვილად არ მოიხრის ქედს ხალხის უფლების წინაშე და ასე თუ ისე შეეცდება თავის პრეროგატივების დაცვას. მის საბრძანებელ ქვეყანაში ბევრია ისეთი ელემენტი, რომელიც არ უღალატებს და რომელთა გამოყენება მას კიდევ შეეძლება მოხერხებულ დროს. სპარსეთის კამარილიამ, გარეშე გარემოებათა იძულებით, ჯერ მხოლოდ ახდილი ბრძოლა შესწყვიტა კონსტიტუციისა და განახლების წინააღ- მაგრამ მან იცის, რომ ძველ რეჟიმის არსენალში სხვა იარაღიც არის, რომლის მოხერხებული გამოყენება შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს იმისთვის, ვიდრე ახდილი ბრძოლა. თუ ოსმალეთის მაგალითი ამას არ ამტკიცებს, სამაგიეროდ რუსეთის მაგალითი ხომ უტყუარად მოწმობს, რომ შეიძლება ძველისა და ახლის ისეთი შეთანხმება, სადაც სახელი ახალს ეკუთვნის, სახრავი კი ძველს.

წათამამებული ამ მაგალითით სპარსეთის რეაქცია უეჭველად შეეცდება ამიერიდან განმათავისუფლებელ მოძრაობის დაპყრობას არა იარაღით, არამედ მოტყუებითა და ხერხით. ამას, როგორც ჩანს კანტი-კუნტად მოსულ ცნობებიდან, იგი კიდეც შესდგომია: ლაპარაკობენ, რომ მეჯლისს საკანონმდებლო პარლამენტის ხასიათი აღარ ექნება, მხოლოდ სათათბირო დაწესებულებად იქნება გადაქცეული; ლაპარაკობენ აგრეთვე საარჩევნო კანონის შეცვლაზე და სხვა ამ გვარზე. სპარსეთის რეაქციონურ ბანაკისათვის ეხლა ყოველი ამგვარი კომპრომისი ხელსაყრელი იქნება და შაჰიც დიდის კმაყოფილებით დასთანხმდება სათათბირო მეჯლისის არსებობას. ეს ასეა, მაგრამ შეურიგდება თუ არა ხალხი ასეთ პერსპექტივას,—აი საინტერესო საკითხი რა არის ამ ჟამად. ორი წელიწადია იგი თავგანწირულად იბრძვის და ბევრი ჭირი და ვაება განიცადა; დაიღალა ბრძოლით და მზადაა ყოველ კომპრომისს შეურიგდეს, თუ კვლავ განაგრძობს ბრძოლას? თუ პირველ ცნობებს დავემყარეთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხი შეუდრეკელად სდგას თავის პოზიციაზე. მოწინავე სპარსეთს არავითარის სიამოვნებითა და კმაყოფილებით არ მიუღია ახალი მანიფესტი თავის თვითმპყრობელისა და შედეგებს მოელის. თავრიზის მებრძოლთა უკანასკნელი ულტიმატუმიც საკმაოდ მკაფიოდ ამბობდა, თუ რას მოელის ხალხი. უნდა ვიფიქროთ, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურთათვის ისიც დიდი კომპრომისია, რომ ვერაგულად ფიცის გამტეხი და ხალხის სისხლის დამღვრელი მტარვალი ტახტზე დარჩება; სხვას არაფერს არ დასთმობენ და მოითხოვენ კონსტიტუციის იმ სახით აღდგენას, როგორიც კონტრ-რევოლიუციის დღემდე იყო.

უკანასკნელ წლის ამბებმა გვიჩვენეს ამასთანავე, რომ სპარსეთის პროგრესიულს ელემენტებს ძალაც შესწევთ თავიანთი პოზიციები დაიცვან და კამარილიას ყველა თავისი პირობა მიაღებინონ, თუ ერთმა გარემოებამ ხელი არ შეუშალა მათ. ჩვენ ვამბობთ სხვა სახელმწიფოთა ჩარევაზე სპარსეთის შინაურ საქმეებში. მართალია, ინგლისი და რუსეთი ურჩევდნენ შაჰს კონსტიტუციის აღდგენას, მაგრამ ის ხომ არ ვიცით, როგორის კონსტიტუციის მომხრეა, მაგალითად, რუსეთი? ბოლოს და ბოლოს არც ლიახოვი იყო კონსტიტუციის წინააღმდეგ: იგიც ამბობდა—ჯერ მშვიდობიანობა და წესიერება უნდა დამყარდეს სპარსეთში და მერე კონსტიტუციაც იქნება შაჰის მიერ აღდგენილიო. რუსეთისათვის და, საზოგადოდ, სხვა სახელმწიფოთათვის ინტერესი აქა სძევს: წესიერება და მშვიდობიანობა ჰსუფევდეს და რაკი შაჰი თანახმაა კონსტიტუცია აღადგინოს, ნაციონალისტებიც უნდა შეურიგდნენ კონსტიტუციას, როგორიც არ უნდა იყოს იგიო. ჩვენის ფიქრით, რუსეთის თვალთა ხედვის ისარი ასეთი იქნება და ინგლისიც ამას დასთანხმდება; ისინი ხელს შეუწყობენ რეაქციონურ კომპრომისს და ხალხს ბრძოლის განგრძობის ნებას არ მისცემენ ნამდვილ საპარლამენტო რეჟიმის დასამყარებლად. თუ ეს ასე იქმნა, სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის ახალი ხანა რეაქციისა და შაჰისთვის უფრო ხელსაყრელი გამოდგება, ვიდრე მებრძოლ ხალხისათვის: უკანასკნელმა დიდის ხნით უნდა უკუაგდოს იმედი ქვეყნის ნამდვილ განახლებისა, ხოლო შაჰი და კამარილია უდარდელად დარჩებიან მრავალ-ტანჯულ ერის სვე-ბედის გამგებლებად.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აპრილი

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** არც დღეს და არც გუშინ არ უმუშავნიათ დეპუტატთა პალატას და სამხედრო სასამართლოებს. მიზეზი დღესასწაულებია. ჯერჯერობით სიკვდილით დასჯა 24 კაცს გადაუწყვიტეს, გაგზავნეს სალონიკსა და სხვა ადგილებში 500 კაცზე მეტი. საღამოს გაზეთებში აწერილია სომხების აწიოკების ამბები ადანასა, ანტიოქიასა და მათ მიდამოებში. აღწერა საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს. გაზეთების სიტყვით, მოუკლავთ 35,000 კაცზე მეტი, გადაუწვავთ რამდენიმე ათი სოფელი. ადანიც მთლად გადამწვარა. მერსინა უცხოეთის კრეისერების მისვლას გადაურჩენია სპარსეთი.

## სპარსეთი

**თეირანი.** ფიდაიები მიუახლოვდნენ კეივენდს, კაზვინიდან თეირანში მიმავალ გზის პირველ სადგურს. კერეჯის ხიდის დასაცველად ღამე თეირანიდან გაჰგზავნეს სპარსელ ყაზახთა ერთი სოტნა.

სატახტო ქალაქის მცხოვრებნი აღელვებულნი არიან. მიზეზი—შაჰის უკანასკნელ ბრძანების გამოურკვევლობაა.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს 23 აპრილის თარიღით თეირანიდან ატყობინებენ: კერეჯის ხიდის დასაცველად [გაიგზავნა სპარსელ ყაზახთა ერთი სოტნა ორის ზარბაზნით. ელიან რომ ამ ხიდს რევოლიუციონერები მოუახლოვდებიან. რევოლიუციონერები ამ ჟამად კაზვინში არიან. „ტაიმს“ თეირანიდან ატყობინებენ: რუსეთის რეზიდენტმა კონსულმა წინადადება მიიღო—პასუხი მოსთხოვოს საპეხდარს, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, გილიანის რევოლიუციონერებს მეთაურობს, გადასცეს, რომ თუ რევოლიუციონერები გილანიდან არ წავლენ, რუსეთის მთავრობა იძულებული გახდება მათ წინააღმდეგ ჯარი გაგზავნოსო. შეიძლება ქალაქ თეირანის და კასპიის გზის დასაცველად რუსის დიდი რაზმი გაიგზავნოს.

**თეირანი.** გუშინ ქალაქზე გაიარა სპარსელ ყაზახთა გენერალმა, რომელიც შაჰის დავალებით სალამს უძღვნის რუსის ჯარის უფროს და მიულოცავს რუსეთის ღედოფლის დაბადების დღეს.

**თავრიზი.** კონსტიტუციის გამოცხადების გამო ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. თუმცა ფიდაიებმა თავიანთ საწადელს მიაღწიეს, მაგრამ ისინი იარაღს მაინც არა ჰყრიან და ფაქტიურად მათ ხელშია ქალაქის მართვა-გამგეობა. ენჯუმენმა ბრძანება გასცა, იარაღს ნუ დაჰყრით იმ დრომდე სანამ თეირანში პარლამენტი არ შეიკრიბებაო. აქაურ ენჯუმენს განუწყვეტელი მოლაპარაკება აქვს რეშტის, მეშედის და ისპაჰანის ენჯუმენთან.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს თეირნიდან ატყობინებენ: დღეს ინგლისის საელჩოში კრება მოხდა. კრებას დაესწრნენ შაჰის დელეგატები და ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენელნი. ამ უკანასკნელებმა შაჰის დელეგატებს განუმარტეს 9 აპრილს წარდგენილი პროგრამა და გადასცეს, თუ შაჰმა უარჰყო ჩვენი რჩევა, ჩვენ ამას მთელი პროგრამის უარყოფად ჩავთვლითო.

**ურმია** 25 მარტი (ჯულფამდის საგანგებო კაცის ხელით). სალმასტიდან იუწყებიან, რომ სიმაისის ქურთებმა, რომელნიც გიუნვის ოლქში პიშნამაზეს შეელოდნენ, აიკლეს ოლქის სოფლებით. სპარსელთ ფიდაების უმრავლესობამ ქურთების მაგალითს მიჰბაძა. მცხოვრებნი გარბიან გიუნეიდან ქურთების წასვლის შემდეგ, წავიდნენ ფიდაებიც. მათთან წაიღეს ნადავლი. რევოლიუციონერებმა საბოლოოდ ჩაიგდეს კიუნნემახი და პიშნამაზის საშველად 100 ცხენოსანი გაჰგზავნეს. ამ დღეებში რახიმ-ხანის შვილი თავს დაეცა პიშნაჰმაზს და წაართვა ალებული სოფლები. პიშნამაზი სოფ. კარედშია. რახიმ-ხანის შვილმა ალყა შემოარტყა ამ სოფელს. პიშნამაზი გაჭირვებულ მდგომარეობაშია.

## საზღვარ-გარედ.

**ვენა.** რეიხსტაგის ბოსნიის საქმეთა კომისიაში გაიმართა კამათი ბოსნიაში ჰუნგრეთის საადგილ-მამულო ბანკის დაარსების შესახებ. სლოვაკელი დეპუტატი კრეკი ამტკიცებდა, რომ ბანკის დაარსებით ჰუნგრეთი პირველ გაბედულ ნაბიჯს გადასდგამს ბოსნიის ანექსიისაკენო. ბოსნიელები იტყვიან, ამბობდა კრეკი, ავსტრიამ ოსმალეთისაგან გვიყიდა და ჰუნგრელებს მიგვყიდაო. ჰუნგრელებისაგან არავითარ თავისუფლებას არ მოელის და მით უმეტესს ეკონომიურსაო. დეპუტატმა რედლიხმა წინადადება მისცა, რომ ბანკის აქციების გასაღების ნებას ნუ მისცემთ ავსტრიის ბაზარზეო. სოც. დემოკრატმა დაშინსკიმ კი სთქვა, ფინანსთა მინისტრმა დიდი უკანონობა ჩაიდინა, როდესაც ბოსნიის სეიმის მოწვევამდე ბანკის კონცესიის ნება დართო. ფინანსთა მინისტრი ბილინსკი ამართლებდა მთავრობის მოქმედებას.

**პარიზი.** შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა ფოსტის მოხელეთა სინდიკატის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობდა ფოსტის დაბალ მოხელეთა სინდიკატის მდივანი კლემანსო ავადმყოფობისა გამო სამინისტროში არ იყო. დელეგაცია არ მიიღეს. მდივანი სამსახურიდან დაითხოვეს, რადგან დიდით სამსახურში არ გამოცხადდა. მოხელეებმა ფარულ სხდომაზე დაადგინეს, თავიანთი ასოციაცია სინდიკატად გარდაქმნან.

**კალკუტა.** სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი იმ 35 ადგილობრივ მცხოვრების საქმის გამო, რომელთა საქმეს ერთი წელიწადი იძიებენ. ჰბრალდებოდათ ასაფეთქებელ ნივთიერებათა და ყუმბარების შენახვა და შეთქმულება მთავრობის წინააღმდეგ. ბრალდებულს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ექვს—სამუდამო გადასახლება, ერთს სამუდამო დაპატიმრება საპყრობილეში, ხუთს დაპატიმრება სხვა და სხვა ვადით, დანარჩენები გაამართლეს.

**პარიზი.** დეპეშების დამტარებლებმა და ცენტრალურ ტელეგრაფის მოსამსახურეებმა პრინციპიალურად გადასწყვიტეს, შეუერთდნენ გაფიცვას. მათ კომიტეტს მიანდეს, განსაზღვროს, როდის უნდა შესწყვიდონ მუშაობა.

**ვენა.** საპარლამენტო კომისიაში განაგრძეს კამათი ბოსნიაში ჰუნგრეთის ბანკის დაარსების შესახებ. ბანკის დაარსების წინააღმდეგნი იყვნენ—სოციალ-დემოკრატები, სლავიანთა კავშირი, გერმანელები და პროგრესისტები, მაგრამ წინააღმდეგობა თითქმის მთელმა რეიხსტაგმა გამოაცხადა. კრამარჟმა სთქვა—ბოსნიის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოეწყობა საადგილ-მამულო საქმე; ბოსნიისათვის საჭიროა, რომ რკინის გზების გამგებლობა ბოსნიელების ხელში იყოს და რაც შეიძლება ნაკლებ დაემორჩილოს ჰუნგრეთს. ავსტრიის პარლამენტი მოვალეა ისარგებლოს ამ კამათით და მთავრობას საზღვრები უჩვენოსო.

ჰუნგრეთის დეპუტატმა მასარიკმა სწრაფი წინადადება შეიტანა ჰუნგრეთის დეპუტატთა პალატაში. წინადადება ეხება გაზეთების იმ ამბავს, ვითომ სამხრეთში მომხდარ მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში ავსტრიის ყველა ეროვნება იღებდეს მონაწილეობას და ამასთან დეპუტატებიც. მასარიკმა მოითხოვა, დაუყოვნებლივ გამოაცხადონ, მართლა მოძრაობაა თუ არა. კომისიამ უნდა შეისწავლოს უეჭველ მხრივ საბუთები და ვრცელი მოხსენება წარუდგინოს პალატას. კომისიამ რაც შეიძლება მალე უნდა შეასრულოს დავალება.

## რუსეთი

**გელსინგფორსი.** როგორც ფიქრობენ, სეიმის ახალი არჩევნები შესამჩნევ ცვლილებას ვერ შეიტანენ სეიმში. უმრავლესობა ეხლაც სოციალისტებისა იქნება.

**ოდესა.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, „ჭეშმარიტ რუსის კავშირის“ წევრებს აეკრძალათ „კავშირის“ მიერ შემოღებული კოკარდების ტარება.

**მოგილევი.** მსხვილი მემამულენი პეტერბურგში დეპუტაციასა ჰგზავნიან. ეს დეპუტაცია შეუერთდება დასავლეთ რუსეთის ცხრა გუბერნიის დეპუტაციას. შუამდგომლობენ შეიცვალოს ამ გუბერნიებიდან სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევანი.

**პლოცკი.** შენიშვნა მიეცა სოფლის (პოლონელები არიან) 12 მოსამართლეს და 28 სხვა მოხელეს.

**ლოძი.** სულ ერთიანად დაიწვა პოლონური თეატრი „ვიქტორია“. ზარალი დიდია.

**ველსკი.** (ვოლოგდის გუბ.) გუშინ სამხედრო საკრებულოს სადგომში რკინის კეტით მოჰკლეს სამხედრო უფროსი პოდპოლკოვნიკი ტოლუნოვი. მკვლელი სამართველოს მოსამსახურეა.

**გჟატსკი.** სმოლენსკის ოლქის სასამართლომ დაიწყო გარჩევა ვიაზმის მოსწავლე ახალგაზრდათა ერთის ჯგუფის საქმისა. ამათ აბრალებენ შეიარაღებულ ცარცვა-გლეჯას 1906 წლის დამლევს და 1907 წლის დასაწყისში. მოწმედ 50 კაცია დაბარებული. საქმის გარჩევა სამ დღეს გასტანს.

**პეტერბურგი.** სოფიის ქუჩაზე აღმოაჩინეს საიდუმლო სტამბა და პირველ მაისის პროკლამაციები. დააპატიმრეს სამი კაცი.

# ოსმალეთი

რეაქცია.—მაკედონიის ჯარის მიერ სტამბოლის აღება.—სულთნის ჩამოგდება.

წინა წერილში ვწერდი, აჯანყების მომწყობნი საეჭვო წარსულის პირნი არიან მეთქი. მაშინ ეს კიდევ კარგად გამორკვეული არ იყო. დღეს-კი სავსებით გამოაშკარავდა სულთნის და მისი შვილის ბურჰანედინის მონაწილეობა, ჯარის და ხოჯების მოქრთამა. „ლიბერალური კავშირი“ ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებდა კონსტიტუციის მტრებთან და ამით სამუდამოდ დაკარგა ხალხის ნდობა. ჯერ კიდევ ამათ კონსტიტუციისადმი ფიცის შთაბეჭდილებიდან არ გამორკვეულიყო კაცი, რომ რეაქციის სუსხიანმა ქარმა დაჰბერა და ყველას აგრძნობინა ვისთან და რასთან ჰქონდა საქმე. პირველად აფიცრებზე იყარეს ჯავრი: ამ დღეებში დაიღუპა 264 ახალგაზრდა განათლებული აფიცერი, ოსმალეთის ჯარის სიამაყე. კონსტიტუციის მომხრე მოხელენი გარბოდნენ. ლიბერალურმა პრესამ თავისუფლების ჰანგები „შარიათის“ ქებადიდებით და ახალგაზრდა ოსმალთა ლანძღვა-გინებით შეცვალა. ზოგმა მორცხობის ნიღაბი სრულიად მოიგლიჯა და მაკიაველ-მოკიაველ გზას პირდაპირი არჩია. „ვოლკანი“-ს რედაქტორმა დევრიშ ვახდეტიმ სულთანს ღია წერილით მიმართა, ევედრებოდა—კონსტიტუცია უკან წაიღეო. „ოჰ, ფადიშაჰ!—ასე ათავებდა იგი წერილს:—ამბობენ, ძალით მოიპოვეს კონსტიტუცია, მაგრამ თუ თქვენ უდიდებულესობას სურს, უკან წაიღებს მასაო.“

ციხეების კარები გაიღო და ქუჩებს მოედო ჯაშუშობა. ალარსად აღარ ისმოდა ჩვეულებრივი მხიარულება და ჟრიამული. სამ-ოთხ კაცს, ერთად მოლაპარაკეს, ველარ შეხვდებოდით. სულ უბრალო ლაპარაკის დროსაც კი შეშინებულს თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, საუკეთესო დეპუტატები გაქცეულიყვნენ. ის პარლამენტი, რომელმაც დიდი ვეზირი ქიამილ-ფაშა ჩამოაგდო და რომელსაც მთავრობა ასე მოკრძალებით ეპყრობოდა, დღეს სულთნის მიერ დაყენებულ მინისტრების აბუჩად ასაგდები გახდა. 15 აპრილს, როდესაც მომხდარ ამბებზე პარლამენტი შიშის ქვეშ მსჯელობდა, საერო განათლების მინისტრი იმდენად გაკადნიერდა, რომ თავისი სიტყვა ასე დაათავა: „ნუ გექნებათ შიში მთავრობისა. იყავით დაწყნარებული“... „ნუ გექნებათ შიშიო“—დეპუტატებმა ეს ცუდად ახსნეს და ზოგიერთმა გაბედულმა კიდეც მიაძახა: „ჯარის მფარველობის ქვეშ არაფრისა არ გვეშინიან, წაიღეთ სიტყვა უკანაო“. მაგრამ ამისთანა პასუხი იშვიათი იყო. პროგრესიული დეპუტატები შიშით ერიდებოდნენ მსჯელობას და ბურთი და მოედანი რეაქციონერთა უმცირესობას დარჩა. სომხებმა და ბერძნებმა, რომელნიც აქაურ მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ, თითქოს დაივიწყეს, რომ ფიცით ქვეყანას ყურები [illegible] სისხლით [illegible] კონსტიტუციას. უკანასკნელი წვეთი კი არა და თითი თითზეც არ დაუდვიათ არც 31 მარტს და არც 1 აპრილს. მათ ადგილას შორიდან მოსული ალბანელნი და ბოლგარელნი იბრძოდნენ. ასე იაფად მიაღწიეს გულის წადილს რეაქციონერებმა. ისინი მთელ რიგზე ბრწყინვალე გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. მაგრამ ეს გამარჯვება, როგორც დეპეშებიდან უკვე იცით, ხანმოკლე გამოდგა, ხოლო სიხარული—ნაადრევი.

ჯერ ორი დღეც არ გასულიყო ამის შემდეგ, რომ პროვინციები საშინელმა მღელვარებამ მოიცვა. სერრეს, იანინას, სალონიკის ვილაეტები, ოსმალეთის თავისუფლების დაუვიწყარი ადგილები, ეხლაც, როგორც წინად, პირველნი ამხედრდნენ კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. აბსოლიუტიზმის დაბრუნების საფრთხემ ყველა, განურჩევლად სარწმუნოებისა, ერთ მჭიდრო ძალად გადააქცია. ოსმალნი, ბოლგარელნი, ალბანელნი კრებებზე ერთმანეთს ეფიცებოდნენ, მსხვერპლად შევწიროთ თავი თავისუფლებასაო. ყოველ მხრიდან დეპეშა-დეპეშაზე მოსდიოდა პარლამენტს. ყველა დეპეშა ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ახალ კაბინეტს არა ვცნობთ, რადგან უკანონოდ არის შემდგარი; აღადგინეთ კონსტიტუცია, აღადგინეთ კანონიერი მინისტრები თავიანთ უფლებებში, წინააღმდეგ შემთხვევაში სტამბოლზე მივდივართო“. მინისტრებმა სცადეს დასამშვიდებელ დეპეშების გაგზავნა, მაგრამ პასუხად მხოლოდ ეს მოდიოდა: „დროს ნუ ჰკარგავთ დეპეშების გზავნით, რადგან, როგორც უზურპატორებს, პასუხს აღარ გაღირსებთო“. პროვინციის მოხელეობაც მხნედ ამოუდგა ჯარს გვერდში. მათაც განაცხადეს—არავითარ საქმეს არ დაიჭერთ კონსტიტუციის დამრღვევ მინისტრებთანაო. აი რასა სწერდა სალონიკიდან ვილაეტის დევტერდარი ემინი ფინანსთა მინისტრს: „რადგან უკანონოდ შემდგარ მინისტრების კაბინეტში ხართ, თქვენი ბრძანება ასრულებული არ იქნებაო“. ამისთანა მაგალითი მრავალი იყო.

3 აპრილს პირველად მოვიდა ამბავი, რომ სტამბოლზე მოდის „თა-

# ფელეტონი

## საქართველოს ოცნება

ვუძღვნი ქართველ ხალხს.

ანატ. კრემლიოვისა.

(თარგ. რუსულიდან)

სიზმარი ვნახე. დღეა ნათელი.
ჩემს გარეშემო სიცოცხლე სდუღდა.
ცით დასწოლია აჩრდილი მიწას,
თითქოს იმისთვის სიტურფე ჰშურდა.
ღრმა ხეობაზე მოჰქუხს მდინარე,
ვისლაც უწყრება, რაზედლაც სწუხდა.
უწოდებს ხალხსა მტერთან საბრძოლად;
ბულბულთან ერთად ამ ჰანგზე ჰქუხდა...
მესმის ბრძოლის ხმა, ჟღერა აბჯრისა,
შურის ძიების, დაუზოგავი;
თავისუფლების მოტრფიალეთი
აქ არ სცხრებოდა არა დროს მკლავი.
მედგარ ბრძოლებში გამობრძმედილმა
ბევრმა შესწირა სამშობლოს თავი.
ღრმა ხეობებში, მთების კალთებზე,
სადაც მოსჩქეფენ მშფოთარნი წყალნი,
კლდისა ნაპრალსა გადმოკიდებულს
შეჰკედლებოდა ადამიანი.
სცხოვრობდა ლაღად: ხან მღეროდა,
ხან გულს ნაღველი მოერეოდა,
სიყვარულისა გრძნობას ციურსა
შურის-ძიებაც შეერეოდა,
ვით ღვინის ნაკადს სისხლის წვეთები.
ვხედავ მოდიან ჩემს წინ მხედრები:
მძიმე ლაშქარი აბჯრით მოსილი,
ტანით ტურფანი, სახით მედგრები,
და თვალებიდან ცეცხლის მფრქვეველები.
მოაქროლებენ ფიცხსა ტაიჭებს
და რისხვით სავსე მათი სიმღერა
გულში გრძნობათა მოუსვენრობას
აე ხმამაღლა გაეძლიერა.
ჯარს ემატება გუნდი გუნდზედა.
ხმლები, ხანჯრები ტანს უბურავენ.
გაათრებული მხედართ ცხენები
თვალ-დაფეთებით ოფლში სცურავენ.
ვხედავ, გროვიდან ტურფა ასული,
მის სილამაზეს ვერ ასწერს ენა,
ვაჟკაცურადა, თავ-გამოდებით
მოაქროლებდა ცხენსა ჩემსკენა.
თავბრუ დამხვია იმის სიტურფემ,
წინ მივეგებე გაქანებული,
ჯილავი ვტაცე ცხენს, შევაყენე
და შევყურებდი აღტაცებული:
აბჯარ-აბგარში ქალი ჩამჯდარი
თვალებს აელვებს, რაღაცა სწყინდა
და სიყვარული მძულვარებასა
იმის თვალებში დრო და დრო სცვლიდა.
სულ-შეხუთულმა მღელვარებითა
ძლივსღა ვუთხარი მე სიტყვა ერთი,
მოწიწებითა თვალებში ვუცქერ
და ვეკითხები: „თუ კი გწამს ღმერთი,
რა გქვიან, მითხარ, და ან ეგ სახე,
ღვთაებისა და სამოთხის მჩენი,
ვინ გააჩინა? გამაგებინე,
მე ვერ მიმხვდარვარ, არა ვარ ბრძენი.
ქალმა ტკბილის ხმით დააწკრიალა
სიტყვა ლამაზი და მოსალხენი;
ჟრუოლა თავიდან გულს დაემღერა:
„საქართველო ვარ მე—დედა შენი“.

2.

გაჰქრა ჩვენება. ვით სუდარაში,
ნისლში ეხვევა სამყარო გული.
მიყუჩ-მიჩუმდა სრულად ბუნება,
თითქოს სიკვდილსა დაედვას ხელი.
დაჰბერა ქარმა, ნისლი გაჰფანტა.
ჩამავალის მზის ბედ-კრული სხივი
ეალერსება მთა-ბარს ნაღვლიანს
და მას იხუტებს ბუნება ცივი.
ბნელს ხეობაში მდინარე ტირის,
მას სიხარული აღარ ეტყობა,
ნაღვლით სავსეა ბულბულის სტვენა,
კაეშანითა გული ეპობა.
ბრძოლის ხმა ისმის, კვნესა და ოხვრა—
ომის ხუჟბელნი სადღაც შორითა
ტირილით ლოცვა მღერისა ნაცვლად
მოისმის ტყიდან, წყალზე, გორითა
ცა, დედა-მიწა მწარედა ოხრავს,
ოხრავს უენო, ტყე დაბურული,
მწვანე მინდორი, მთები მაღლები,
მთაზე კლდე ბანად გადმოხურული.
მთელის ბუნების დაღონებამა
გული მომიკლა, მეც დამაღონა.
წინადვე ვიგრძენ კარგს არას ვნახავ...
რაც ვნახე იყო ნაგრძნობის წონა:
გავცქერი შორსა და თვალთა ხედვა
ქვეყნის სივრცეში იღუპვის, ინთქმის.
კვლავ ვაკვირდები და მოჩვენება
მიახლოვდება, ფეხის ხმა ისმის.
მოვიდა ახლო, გარჩევით ვნახე
იმისი სახე, ბრწყინვალე შუბლი,
გაშლილი თმები, შუბლს მღელვარება,
გადაღელილი ქალს ჰქონდა გული.
თვალებში უკრთის მძიმე ნაღველი,
ალბად რამე აქვს ჩემთან სათქმელი;
ჰსურს, რომ დარდები ქალმა მიამბოს
და კაეშანი მით გაიქარვოს.
კაბის შრიალი ფოთლისას უგავს,
უნდა რამ მითხრას, მაგრამა ხათრობს
და დაღარული შუბლის კანითა
მკოდავს გულსა, შიგ ისრებს მასობს.
მომიახლოვდა და ასე მითხრა:
„ვერას მიშველი? მე წამიყვანენ.
სასწაულითა გაუსხლტი მტარვალთ
და თუ მიპოვნეს, იმ წამს მომკლავენ“.
— ვინა გყავს, ქალო, მითხარი, მტერი?
„არ ვიცი, არა, ვიზე გიჩვენო!
მაგრამ ვგრძნობ მოვა: სჩანს მისი ხელი.
ახ, რომ იცოდე, როგორ ვიტანჯვი
და სულს მიხუთავს ფიქრები მწველი?“
— რა ცოდვისთვის ხარ შენ დასასჯელი?
„ერთი მაქვს მხოლოდ დანაშაული,
ეს არის მხოლოდ დღეს ჩემი ბრალი:
რომ მეზიზღება ფრიად მონობა,
მინდა, რომ ვიყო თავისუფალი“.
— მაინც სად არის? ვინაა მტერი?
„არ ვიცი, არა, ვერაფერს გეტყვი,
მაგრამ ამას ვგრძნობ, დღე მითავდება,
მიშველე რამა, თუ შეგიძლიან,
სისხლის ცრემლსა ვღვრი, გული მიდნება“.
— ვინა ხარ, ვინა, შენ, წამებულო,
ვისი ხმა მესმის მე ამაზრზენი?“
და მიპასუხა: „სხვა არავინა,
საქართველო ვარ—სამშობლო შენი“.

3.

იმავე წამში გაჰქრა მზე ცაზე,
შორიდან ისმის ქუხილი, გვრგვინვა,
ხმა თოფებისა, მუქარა, კვნესა
დაჭრილებისა ოხვრა და გმინვა.
გრძნობა მიხდილი პირქვე დავემხე
და მაინც მესმა მწარე ქვითინი,
ისევ გოდება, ისევ ტანჯვის ხმა
და მასთან მწუხრად ვისლაც ღილინი.
გონზე მოვედი. გარშემო ბნელა.
შექმნილა თითქოს ჰაერად კუპრი,
მხოლოდ მთვარის შუქს მაღალ ფანჯრიდან
გაეპო მთრთოლარს წყვდიადის მური
ციხეშია ვარ გამომწყვდეული,
დაკეტილი აქვს მას მაგრა კარი;
ირგვლივ წყვდიადი, სველი კედლები,—
აი სადა მაქვს თავშესაფარი!..
მყუდროებაა. ხმა არსით ისმის,
ჩემის გულისა მე მესმის ფეთქა,
ბორკილის ჟღერამ იქვე ახლოდან
ვაების ტალღა ზედ მოახეთქა.
ციხის კუთხეში მთვარის შუქითა
განათებული შევნიშნე ქალი:
თვალ-მიბნედილი, ბორკილიანი,
სახო მიხდილი და შესაწყალი.
ფერით იმავე მთვარის შუქს ჰგავდა,
ავადმყოფსავით უცემდა გული,
ღრმა ხაზთა შორის ტანჯვა-ვაების
კვლავ გამოსჭვიოდა შვენება სრული.
სჩანდა, რომ ქალის ამაყი გული
შეჰრიგებია ბორკილს, ტყვეობას;
თვალთაგან ცრემლი ჩამოსდის ღვარად
და ველარ იჩენს იგი მხნეობას.
მსურს ვანუგეშო და გაუფანტო
ტანჯვა-ვაება გულისა მღრღნელი.
მომაკვდავსავით დაკიდებული
ქალს დაუჭირე მე ცივი ხელი,
შმაგად ვუკოცნი, დაქვითინებით
ზედ დავაფრქვიე მე ცხარე ცრემლი.
გამტერებითა მან შემომხედა,
კრინტი არ დაძრა, არა-რა მითხრა.
— ჩემო სიცოცხლევ, ნუ თუ იმედი
რომ აღგეძროდა, დაუწყე კითხვა:—
ვერ დაჰლეწავდი შენ ამ ბორკილებს?“
იმავ წამს ქალი გამოიცვალა,
გამოცოცხლება დიდი დაეტყო,
გამბედაობის იჩინა ძალა.
იგი წამოდგა მამაცად ზეზე,
მხნეობის ალმა გადაჰკრა ფერზე.
„მრწამს, ვიმედოვნებ, ძალა ბრძოლისთვის
გულში ბევრი მაქვს ჯერ შენახული;
მომავალიცა ბრწყინვალე მელის,
ადვილ არაა ვიცვალო რჯული.
რა ვუყოთ დღესა ბედმა მარგუნა—
დამცრობილი ვარ, გვემულ-ტანჯული,
მაგრამ ეს ტანჯვა წუთიერია,—ლი,
კვლავ გაცოცხლდება მოკლული გული!“
რა ტურფა იყო იგი იმ დროსა—
მზე იყო სწორედ ღამისა მთენი.
ვინა ხარ, ტურფავ? — კვლავ შევეკითხე.
„საქართველო ვარ—მშობელი შენი“.

4

ერთბაშად გაჰქრა ეს მოჩვენებაც,
საუცხოვო რამ სინათლე გაჩნდა,
რასაც წყვდიადი უჩინარ ჰქმნიდა
თვალ-წინ დამიდგა და ცხოვლად დაჩნდა.
აღსდგა ქვეყანა, ამწვანდა მთები,
მოლხენით მოხტის, მოჰყეფს მდინარე,
ჩიტების გუნდი ჰაერში მოსჩანს
მეივან-მერინავი, მიმომფრინარე.
და კიდით-კიდეს ისმის ბულბულის
სტვენა ლხენისა, შვების მფინარე.
ჭალებზე, დაბლა, მდინარეთ პირას
ერთმანეთზედა მოსჩანს ბაღები;
ჩაჰხუტებია ყვავილთა გუნდი,
ვით დედის მკერდსა ჩვილი ბაღლები,
იმათ მიდამოს. საუცხოვოა.
კლდეთა გროვები კლდეებზე მოჩანს,
ნაპრალი ნაპრალს წინ ეხჩება,
დაბლა მდინარე ბობოქრობს, მოსთქვამს.
იქ ბუნებისა ჩანგი იკვროდა—
უცხო ჰანგების გამომცემელი.
ხალხის მოლხენას თვისას უერთებს
შეფრქვევით ერთხმად მთა და ტყე ველი.
უსაკვირველეს თავის ძალ-ღონეს
უგალობს ჰიმნსა ბუნება მთელი.
სილაღით ჰსუნთქავს რაც თვალითა სჩანს,
აღტაცებითა და ტრფობით სავსე.
იმათი ცეკვა, ქორივით ქროლა

ვისუფლების ჯარით“, როგორც გაზეთები ეძახიან. ამ ამბავს ჯერ არავინ აძლევდა დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მალე მთელი პრესა ამაზე ალაპარაკდა. ახალ-ახალი ცნობები მოდიოდა და რეაქციის დამქაშებს თავ-ზარსა სცემდა. თითო გაზეთი დღეში სამ დამატებას იძლეოდა. რეაქციამ საგრძნობლად იკლო. ხალხი აქ-იქ ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და მომავალ ჯარზე მსჯელობდა. ყველა ამ ჯარის მაჯის ცემით სცოცხლობდა იმ დღეებში.

მალე ორი კორპუსი ევროპიულად გაწვრთნილ ჯარის მაჰმუდ-შევკეთ-ფაშის წინამძღოლობით სტამბოლს დაუახლოვდა. მათთან მოდიოდა ალბანელებისა და ბოლგარებისაგან შემდგარი თავისუფალი რაზმი—3000 კაცამდე. მოწინავე რაზმები ერთის მხრით სან-სტეფანოს, ხოლო მეორეს მხრით ჩატალჯას მოადგნენ. სულთანის მიერ გაგზავნილი ფანატიკოსი, ხოჯები ბევრს ეცადნენ აქაც შეეტანათ ღალატი და არეულობა, მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ.

წამოსულ ჯარს წინდაწინვე ყოველი ზომა ჰქონდა მიღებული ამის წინაამდეგ. შიგ ჯარში ჰყავდათ განათლებული მოლები, რომელნიც თოფით ხელში გვერდში ამოსდგომოდნენ ჯარის-კაცებს. მოწინავე რაზმებს წინ უძღოდა მაკედონიის სკოლიდან გამოსული ჟანდარმერია. მისვლისათანავე ყველან საალყო წესებს აცხადებდნენ. ჯარის მთავარ სადგომს გარეშეთაგანი, ვინც უნდა ყოფილიყო, ახლო ვერ გაეკარებოდა. გაჩერდებოდა თუ არა სტამბოლიდან მიმავალი მატარებელი სანსტეფანოში, ალყას აკრავდნენ და მგზავრებს სასტიკ დაკითხვის ქვეშ ატარებდნენ. ამ ჯარის მნახველი კორესპოდენტები ამბობდნენ, ზედ რომ გადააკვდეთ უბრალო ჯარის-კაცს, პაპიროზსს ვერ მიაღებინებთ, ისე ფთხილობენო. იმის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ამ ჯარს ვერ მიუდგნენ სულთნის ფანატიკოსი ხოჯები. მთელი მათი მეცადინეობა ზედ შეემსხვრა „თავისუფლების ჯარის“ გასალ-კდევებულ დისციპლინას. ბევრი ხოჯა დაიჭირეს და საველე სასამართლოს გადასცეს. სანსტეფანოში დაიჭირეს პოლკოვნიკი ჰუსეინ-ხუსნი ბეი, რომელსაც ბევრი ფული აღმოაჩნდა აფიცრების მოსაქრთამად, აგრეთვე ჩატალ ჯუს დაიჭირეს პოლკოვნიკი ალიმ-ბეი და მრავალი სხვანი. **გადახვეწილი.**

(დასასრული იქნება).

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ვალ. გუნიას ბენეფისი.** დღეს ქართულ თეატრში დამსახურებულ არტისტის ვალერიან გუნიას საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა ლ. ფულდისა „ჩერჩეტი“, თვით მობენეფისეს თარგმანი. პიესა, როგორც ვიცით, ამ სეზონში რუსულად ითამაშეს 20-ჯერ. ამ წარმოდგენაზე ფასები დაკლებულია, წარმოდგენა გათავდება, როგორც გვპირდებიან, 11 საათზე.

✦ **კავკასიის კურსების ანგარიში.** კავკასიის შესასწავლ უმაღლეს კურსების გამგემ, ხმოსანმა თავ. გ. მ. თუმანიშვილმა ამ დღეებში ტფ. ქალაქის გამგეობას წარუდგინა ზემო-ხსენებულ კურსების ანგარიში. ამ ანგარიშით 1908 წლის 10 სექტემბრიდან ამა წლის 4 აპრილამდის კურსებზე, რომელიც იმყოფებოდა ეგრედ წოდებულ პუშკინის სახელობის სამკითხველოს შენობაში, წაუკითხნიათ 52 ლექცია, სახელდობრ: 1. „შედარება კავკასიის სხვა და სხვა ენებისა“,—20 ლექცია წაიკითხა მიუნხენის უნივერსიტეტის დოქტორმა ა. მ. დირრმა; 2. „კავკასიის სხვა და სხვა თემებზე“,—ლექცია მისივე; 3. „კავკასიის სხვა და სხვა თქმულებანი პრომეთეოსზე“,—ერთი ლექცია მისივე; 4. „ძველი ისტორია წინა აზიის შესახებ“,—8 ლექცია წაიკითხა ბერლინის უნივერსიტეტის დოცენტმა მ. ხალათიანმა; 5. „არაბთა მიერ კავკასიის დაპყრობა, ამოღებული არაბების ხელთ-ნაწერებებიდან“—2 ლექცია მისივე; 6. საიდან წარმოსდგა სომხური ენა“,—ერთი ლექცია მისივე; 7. „სომხური ისტორია“ (არშაკიდების დრომდის),—10 ლექცია წაიკითხა ს. დ. ლისიციანმა; 8. „ქართულ ლიტერატურის ისტორია“, (რუსთაველიდან დაწყებული დავით გურამიშვილამდის) 8 ლექცია, წაიკითხა მოსკოველმა პროფესორმა ალ. ხახანაშვილმა; 9. „ქალაქის თვითმართველობის საქმეებზე“—6 ლექცია, წაიკითხა პეტერბურგელმა ლექტორმა ვ. ფ. ტოტომიანცმა; 10. „კოოპერაცია“ (მრეწველთა საზოგადოების შესახებ)—4 ლექცია მისივე. ზოგიერთ ლექციებს დასჭირდა ბუნდოვან სურათების ჩვენება. გარდა აქ ჩამოთვლილ ლექციებისა, სამოსწავლო წელს აზრად ჰქონდათ წაეკითხათ ლექციები შემდეგ საგნებზე: „ისტორია ახალ სომხურ ბელეტრისტიკისა“ (უნდა წაეკითხა ეჩმიაძინის აკადემიის ლექტორს მ. ფ. ბერბერიანს), „ჩვეულებათა უფლება“ (პეტერბურგელ პროფესორს ნ. ა. გრედესკულს), „სახელმწიფო და ეკლესია ძველ საქართველოში“ (ს. გორგაძეს) და მსოფლიო მეურნეობაზე (პროფესორ ა. ა. ისაევს), მაგრამ ეს ლექციები კურსების გამგეობისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო არ შესდგა. ამ მიზეზით საანგარიშო წელს წინა წელზე ნაკლები ლექცია წაიკითხეს. ამავე მიზეზით მსმენელთა რიცხვი და შემოსავალიც ნაკლები იყო. ამ საანგარიშო წელს ლექციებს დაესწრო სულ 1847 კაცი, ე. ი. თითო ლექციაზე ორთა შუა რიცხვით იყო 35—36 კაცი.

✦ **დეპუტაცია.** „კასპის“ სიტყვით, პეტერბურგში კავკასიიდან ჩასულა დეპუტაცია, რომელიც იშუამდგომლებს სტოლიპინის წინაშე, კავკასიაში რეფორმების დაჩქარების შესახებ.

✦ **ნასხნობა რიონზე.** ბოცმანს მარჯანოვს შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მისცეს მოაწყოს სამგზავრო გემების მიმოსვლა რიონზე ფოთიდან ორპირამდე.

✦ **გორის ხაზინის გაცარცვის განზრახვა.** გორში განუზრახავთ ადგილობრივ ხაზინის გაცარცვა. 23 აპრილს დღესასწაულის გამო ხაზინაში მუშაობა არა ყოფილა, მაგრამ თერთმეტ საათზე ბუხჰალტერი შაპუნოვი მაინც მისულა. პატარა ხანს უკან შაპუნოვს სიჩუმეში ხაზინის ქვეშიდან რაღაც ხმაურობა მოსმენია. დაუძახნია მოსამსახურეებისთვის და იმათაც გარკვევით გაუგონიათ ხმაურობა. მაშინვე კაცი უფრენია პოლიციაში, ჟანდარმებთან და ჯართან. ყველანი ხელად გაჩენილან, შემოურტყავთ ალყა და შესდგომიან ჩხრეკას. ხაზინიდან 50 საჟენის მანძილზე, წაღების მკერავ პატარა სახლში უნახავთ თხრილი. თხრილი ხაზინისკენ ყოფილა გაყვანილი დიდ მანძილზე. თხრილში საპირები ჩასულან. როდესაც ათიოდე საჟენი გაუვლიათ, შეხვედრიათ დედაკაცი, რომელსაც ტომრით მიწა მიჰქონდა თურმე. დედაკაცი შეუპყრიათ. გაუვლიათ კიდევ ცოტა მანძილი და უნახავთ კაცი, მერე მეორე და მესამე. ორი ამათგანი მიწას ეზიდებოდა თურმე, მესამე-კი ხაზინის ქვეშ პატარა ლომით კლდეს ამტვრევდა. ყველანი დაუპატიმრებიათ. დაუპატიმრებიათ აგრეთვე სახლის პატრონი.

✦ **შუამდგომლობა.** ვერის მედუქნეებმა და მეტრაქტირეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ საშუალო საქციზო გადასახადის შეტანის ვადა ამა წლის 1 ივლისამდე გადაიდოს, რადგან ამ დროს ვაჭრებს ახალ პატენტების აღება დასჭირდებათ და უფრო გაუჭირდებათ ფულის გაღება. გამგეობამ უარ-ჰყო შუამდგომლობა.

✦ **დამფრთხალი ცხენები.** 24 აპრილს ფეოდოსიევის ქუჩაზე მეეტლეს იონა ხლასკოვს დაუფრთხა ცხენები, რომელთაც გაიტაცეს ეტლი. გაქანებული ეტლი დაეტაკა 3 წლის ბავშვს ბოჩალოვისას და სასიკვდილოდ დააშავა. მეეტლემ ცხენები ვეღარ შეიკავა, თითონაც ეტლიდან გადმოვარდა და დაშავდა. ბოჩალოვის ყმაწვილი გარდაიცვალა. დაშავებული მეეტლე საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **სიცხეები.** ორი კვირა იქნება, ტფილისსა და ახლო-მახლო ადგილებში გაზაფხულისათვის არა ჩვეულებრივი სიცხეები დაიჭირა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, 26 აპრილს, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ინიციატივით სახალხო სახლში ნ. ვ. გოგოლის პატივსაცემლად გაიმართება 2 ლექცია. წაიკითხავენ რუსულად გოგოლის ნაწერებიდან ზოგიერთ ადგილებს ტანისამოსსა და გრიმებში ბ-ნი აიაროვი და ბ-ნი ლექციას წაიკითხავენ ნ. ვ. გოგოლზე ქართულად პ. გელეიშვილი, სომხურად ვ. ზახარიანი. პირველი ლექცია დაიწყება 10 საათზე, მეორე $12^1/_2$ საათზე. ვისაც ექნება ერთი რომელიმე ლექციის ბილეთი, შეუძლიან გოგოლის ნაწერების დეკლამაციასაც დაესწროს. ფასი 5 კაპ. და 10 კაპ.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხვალ, 27 აპრილს, განსახილველი აქვს ათამდე საქმე, სხვათა შორის მოხსენება გამგეობისა ბელგიის უსახელო საზოგადოების თხოვნის შესახებ. უსახელო საზოგადოება საბჭოს სთხოვს ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლის შეცვლას და ავჭალის და ნაძალადევისაკენ ელექტრონის რკინის გზის გაყვანის ვადის გადადებას.

✦ **ვაგონების დატაკება.** 24 აპრილს, 12 საათზე კინაღამ დიდი უბედურება მოხდა მიხეილის ქუჩაზე. ერთმანეთს დაეტაკნენ სადოვოი და მიხეილის ქუჩებიდან მიმავალი ვაგონები. არავინ დაშავებულა, თუმცა ბევრნი შეშინდნენ. ვაგონების წინა ნაწილები საგრძნობლად დაზიანდა. გაუფრთხილებელნი მოსამსახურენი ტრამვაისა პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

✦ **სამლოცველო.** სასინოდო კანტორის სადგომის შესავალ კიბეზე, იმ ადგილას, სადაც შარშან მოჰკლეს საქართველოს ექსარხოსი ნიკონი, უკვე შეუდგნენ სამლოცველოს აშენებას. ამ სამლოცველოს აკურთხებენ ექსარხოსის მოკვლის წლის თავზე.

✦ **თათბირის გათავება.** ინსპექტორის ვასილიევის თავმჯდომარეობით დაწყებული თათბირი აგრონომებისა სალდელ მინდვრების შესახებ უკვე დასრულდა. როგორც ვწერდით, სპეციალისტების მიერ შემუშავებულ პროექტით 7 სალდელი სადგური დაარსდება ამიერ-კავკასიაში.

✦ **გემის გაჩხრეკა.** პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ბაქოში გაუჩხრეკიათ გემი „აბო“, რომელიც სპარსეთში მიდიოდა. უნახავთ რევოლვერების პატრონები, თოფის ფისტონების ყუთები, თოფის პატრონები და ერთი ფუთი თოფის წამალი.

✦ **სომხების დაპატიმრება.** სომეხ მოღვაწეებს ტფილისის გარდა სხვა ქალაქებშიაც აპატიმრებენ. ერევანსა, განჯასა, ეკატერინოდარსა, ნოვობაიაზეთსა და სხვაგან ბევრნი გაუჩხრეკიათ და დაუპატიმრებიათ.

✦ **ოპერა.** კვირას, 26 აპრილს, სახალხო სახლში მომღერალის ბრიადეს მონაწილეობით, დაიდგმება ოპერა „სევილიელი დალაქი“ ფიგაროს როლს შესრულებს ბ-ნი ბროდეი.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო „არსენას ლექსი“, გამოცემული „სორაპნის“ სტამბის მიერ. წიგნში თორმეტი სურათია. გარეთ კანზე ფერადი სურათებია, ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი: ლექს გარდა, წიგნში ზ. ჭიჭინაძის წერილია დაბეჭდილი. აწერილია არსენას ცხოვრება.

✦ ხუთშაბათს, 23 აპრილს, მოხდა სხდომა ტფ. წვრილ ვაჭართა საზოგადოების მთავარ კომიტეტისა. კომიტეტმა შეადგინა ორი სექცია—საფინანსო და საგამომძიებლო. კომიტეტმა დაადგინა აგრეთვე კრებები გამართოს ყოველ ხუთშაბათობით. საწევრო ფულის მოსაკრებად კომიტეტმა დაადგინა მოიწვიონ განსაკუთრებული კაცი.

✦ ვერის დაღმართზე 24 აპრილს სალამოთი ელექტრონის გაქანებული ვაგონი (№ 6) დაეტაკა ეტლს (№ 356) და დალეწა. ეტლში მჯდომმა მგზავრმა, სენაკის მაზრის მცხოვრებმა გაბრიელ გოთიშვილმა ფეხი მოიტეხა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის უკანასკნელ კლასის მოსწავლენი გამოსაცდელ ეგზამენებისათვის უკვე დაითხოვეს გუშინ. ეგზამენები დაიწყება 30 აპრილს.

✦ **„ფასკუნჯი“.** გამოვიდა „ფასკუნჯის“ მე-17 ნომერი შემდეგის შინაარსით: ლექსები ახოსპირელისა, ტაბიძის და ვერჰარნისა (თომაშვილის თარგმანი).— „დღეობაში“, ლუკაშვილისა.—„ნათლია და ნათლული“, მალაქიაშვილისა.—„მცირე შენიშვნა“, ს. ფ—სი.—„დღიური“, სიტყვასი.—ხელოვნება საქართველოში.—ახალი ამბავი.

✦ 23 აპრილს პუშკინის ქუჩაზე მომავალ ნინო თულაშვილის ქალისთვის ჯიბგირებს რედიკულიდან ვერცხლის ქისა ამოუცლიათ, რომელშიაც 8 მან. 60 კაპ. ყოფილა. პოლიციამ ჯიბგირები ბეჟანოვი, სარქის კონსტანტინოვი და იოსებ ქურაშვილი დააპატიმრა.

✦ 24 აპრილს დააპატიმრეს ყარსის ციხის არტილერიის ჯარის-კაცი ალექსი რადიშევსკი, რომელიც ამას წინად ყარსიდან გამოქცეულა და იმალებოდა თურმე.

✦ საველე ჟანდარმთა მე-5 ესკადრონის შენობაში უნტერ-აფიცერმა ტროფიმე ოლენნიკოვმა 24 აპრილს რევოლვერით თავი მოიკლა.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **გვალვა დასავლეთ საქართველოში.** რაც აღდგომის კვირაში მოსულ თოვლსა და ყინვებს გადარჩა, ეხლა გვალვისაგან იღუპება: ათ დღეზე მეტია, რაც ქუთაისსა და მთელ დასავლეთ საქართველოში ისეთი სიცხეა, როგორსაც-კი იშვიათად ნახავთ. სიცხეს თან ამოსავლეთის ქარი ერთვის და მიწა იმდენად გამოიგვალა, რომ ყოვლად შეუძლებელია ხვნა და ნათესის, განსაკუთრებით ვენახის, მარგლა. მრავალი ადგილი დაუთესავი რჩება და რაც დაითესა, ისიც იმდენად შეაწუხა სიცხემ, რომ საეჭვოა მოსავალი მოიყვანოს. თუ ასე გაგძელდა, მრავალი ადგილი დაუთესავი დარჩება და კვლავ შიმშილის აჩრდილი გაჩნდება. თვით ქალაქში სიცხე აუტანელია, განსაკუთრებით მოსწავლეთათვის, რომელნიც ვალდებულნი არიან სწავლა მაისის შუა რიცხვებამდის განაგრძონ.

✦ **ბანკზე დარჩენილ მამულებს სხვები ისაკუთრებენ.** ამ ცოტა ხანში გამოირკვა, რომ სათავად-მამულო ბანკზე დარჩენილ მამულების პატრონები სარგებლობენ გამიჯვნით და მამულს მიჯნავენ თავიანთ მახლობელ ნათესავებზე და ბანკს, ამ ნაირად, ხელიდან ეცლება მამული. ამ გარემოებამ აიძულა ბანკი, რომ იქ, სადაც წრეულს გამიჯვნაა დანიშნული, თავისი რწმუნებულნი დანიშნოს და დაწესებულებას ზარალი ააცდინოს. როგორც გავიგეთ, ამ ნაირ რწმუნებულად მოწვეულია 9 კაცი, რომელთა შენახვა ზაფხულის განმავლობაში გამოიწვევს 4000 მანეთამდე ხარჯს.

✦ **საურთიერთო ნდობის საზოგადოების კრება.** 26 აპრილისთვის დანიშნულია საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრება ანგარიშის და სხვა საქმეთა განსახილველად. როგორც ისმის, საზოგადოების საქმეები იმდენად გამოკეთებულა, რომ შარშანდელი ზარალი 5000 მანეთს არ აღემატება, მაშინ, როცა წინა წლების ზარალი 20.000 მანეთზე მეტი იყო ხოლმე.

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** 19 მაისისთვის დანიშნულია ჩვეულებრივი კრება ქუთაისის თავად-აზნაურობისა, რომელმაც, გარდა მიმდინარე საქმეების განხილვისა, უნდა მოახდინოს არჩევნები: გუბერნიისა და მაზრების მარშლებისა, დეპუტატებისა, მდივნისა და ბანკის რწმუნებულებისა. გუბერნიის მარშლის კანდიდატად სხვათა შორის ასახელებენ თავ. დავით ნიჟარაძეს, რომელიც, როგორც ამბობენ, თუ ისურვა კენჭის ყრა, არჩეული იქნება.

✦ **რევიზია.** დამთავრდა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს რევიზია, გენერალ სლავოჩინსკის ინიციატივით დანიშნული. როგორც ამბობენ, სარევიზიო აქტს მალე წარადგენენ, სადაც ჯერ არს. რაც დრო გადის, მით უფრო ირკვევა, რომ ამ რევიზიას ხელს უწყობდნენ მრეწველობასთან დაახლოვებული პირნი და იქამდისაც კი მისულან ზოგიერთნი, რომ მთავრობისთვის უთხოვნიათ, დანიშნოს საბჭოს თავმჯდომარე.

# ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**აბდულ-ჰამიდის მეფობის უკანასკნელი წამები.**

ამბობენ, რომ ეროვნულ კრების დეპუტაციამ, რომელსაც ტახტიდან ჩამოგდების ამბავი უნდა გამოეცხადებინა აბდულ-ჰამიდისთვის, დიდხანს ვერ იპოვა იგი ილდიზში. ბოლოს გაიგეს, რომ სულთანი ჰარამხანაში დამალულიყო. დეპუტაციამ მოსამსახურეების პირით შეატყობინა სულთანს თავისი მოსვლა, მაგრამ სულთანი ხმას არ სცემდა არავის. სამჯერ შეუგზავნეს მოსამსახურეები, მერე კი აფიცრები, რომლებიც ახლდნენ დეპუტაციას, დაუკითხავად შევიდნენ ჰარამხანაში, მათ შეჰყვა დეპუტაციაც.

სულთანი ოტახზე იწვა თითქმის უგრძნობლად. მის გარშემო ფუსფუსებდა ოცამდე ქალი. ყველანი ტიროდნენ, ტიროდა სულთნის მცირე წლოვანი ვაჟიშვილი აბდულ-რახიმიც. ქალებმა, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დეპუტაცია სულთნის მოსაკლავად იყო მოსული, იკივლეს, რომ ჩვენც მასთან ერთად დავიღუპებითო. დეპუტაციამ დიდის წვალებით როგორც იყო დაამშვიდა ყველანი. როცა გონს მოვიდა, სულთანმა მოუსმინა დეპუტაციას და შეევედრა, ნუ მომკლავთო. ეს ვედრება მან არა ერთხელ გაიმეორა. დასასრულ აბდულ-ჰამიდმა გაახსენა [illegible] 33 წელს [illegible] მზრუნველ[illegible] სულთნად ნამყოფს მურად მეხუთეს, „ჩიტის რძეს“ ასმევდა მას და ითხოვა, მეც კაცთმოყვარულად მოგვექეცით, ჩირაგანის სასახლეში დამასახლეთო. დეპუტატ ესად-ფაშის მაგარმა კილომ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სულთანზე. დეპუტაციის მეორე წევრმა, სალონიკელმა ადვოკატმა კარასომ უთხრა აბდულ-ჰამიდს, რომ მის სიცოცხლეს მთელი ოსმალეთის ერი მფარველობს და რომ მას არავითარი საფრთხე არ მოელისო. სულთანმა მიუგო: „პირველში ყოველთვის ეგრე ამბობენ ხოლმე, მერე-კი სულ სხვანაირად მოქმედებენო“. ბოლოს და ბოლოს აბდულ-ჰამიდი ცოტა არ იყოს გამხნევდა და დინჯად სთქვა: „ვემორჩილები ბედსა, ალბად ჩემი ყისმათი ეგა ყოფილაო“.

# ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ოსმალეთის ჯარმა დაიჭირა ხოი და სალმასტი.**

ტფილისში კერძო ცნობა მიიღეს სარწმუნო წყაროდან, რომ ოსმალეთის ჯარმა, ურმიის ოლქის გარდა ხოისა და სალმასტის ოლქებიც დაიჭირაო. სპარსელები თურმე სიხარულით და აღტაცებით ეგებებიან ოსმალებს.

**რუსის ჯარი თავრიზში.**

თბილისურ გაზ. „გოლ. კავკაზა“-ს კორესპონდენტი ასწერს რუსის ჯარის შესვლას თავრიზში:

„17 აპრილს ნაშუადღევის 2 საათზე ჩვენ აჯიჩაის ხიდთან მივედით, თავრიზს ახლო... ჩვენი რაზმის პირველი ნაწილი შესასვენებლად შედგა მდინარე აჯიჩაის მაღალ ნაპირას, საიდანაც ჩანს თავრიზი, რომელიც მდინარიდან 3 ვერსტის მანძილზეა სამხრეთისკენ... აჯიჩაის ძველებურ მკვიდრ ხიდზე რევოლუციონერებს აუშენებიათ კედელი და ეტლების გასავლელად საკმაო გზა-ღა დაუტოვებიათ. მდინარის სამხრეთ ნაპირას რუსის შენობაში, რომელიც ეკუთვნის თავრიზის გზა-ტკეცილის მმართველობას, ყარაული უყენიათ რევოლიუციონერებს. შენობის ბანზე, რომელიც საბრძოლველად გაუმაგრებიათ, იდგა ორი თოფიანი დარაჯი, ხოლო შიგ შენობაში და მის ეზოში იდგა 150 შეიარაღებული რევოლიუციონერი. გაგზავნეს (რუსებმა) მსროლელთა პატარა რაზმი, რომელმაც განდევნა რევოლიუციონერები საბაჟოდან (აჯიჩაის ხიდზეა), მცირე წინააღმდეგობის შემდეგ (იარაღი არ მოუხმარებიათ) მოგლიჯა წითელი ბაირაღი, რომელიც პირდაპირ მდებარე შენობაზე იყო გაშლილი, და თითონ დადგა ყარაულად“.

**ბაქოელ სპარსელების დეპეშა შაჰისადმი.**

ბაქოელ სპარსელების კოლონიამ 24 აპრილს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა შაჰს:

„ეხლანდელი მდგომარეობა და უკანასკნელი ამბები ადერბეიჯანში (იგულისხმება რუსის ჯარის შესვლა) მოითხოვენ, რომ თქვენ არავის მისცეთ ნება ჩვენი ერის დატყვევებისა და ჩვენის იმპერიის დამხობისა. სპარსეთის მომავლისთვის აუცილებლად საჭირო იყო კონსტიტუციის დაწესება. რაკი თქვენ დაუბრუნეთ ხალხს კონსტიტუცია, ეხლა იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩება დაღუპვას“.

**სათარ-ხანი და რუსის ჯარი.**

სათარ-ხანმა ჰკითხა რუსის ჯარის უფროსს გენ. სნარსკის, როდის გავა რუსის ჯარი თავრიზიდანო. გენ. სნარსკიმ უპასუხა: რუსის რაზმი მაშინ დაბრუნდება რუსეთში, როდესაც სპარსეთში სრული წესიერება დამყარდება და უზრუნველ ყოფილ იქნება უცხოელ ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების უშიშრობაო.

**შაჰი და სათარ-ხანი.**

შაჰმა დეპეშით შეატყობინა სათარ ხანს: ჩემის დაბადების დღის გამო, კონსტიტუცია ვუბოძე ხალხსა და სრული პოლიტიკური ამნისტია გამოვაცხადე, ამიტომ უნდა იარა-

---

ღრუბელთა შორის ელვას ვამსგავსე.
მოლხინართ შორის იდგა ლამაზი,
გალაღებული ჰაეროვანი;
ვერა ძღებოდა იმათის ცქერით,
თან ტაშს უკრავდა ხალხს ბანოვანი.
იმაზე ლამაზს, იმაზე ტურფას
ვერას ჰნახავდა თვალი კაცისა.
დაგავიწყებდა სასუფეველსა
რხევა, მიმოხვრა იმის ტანისა.
ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რასა ვხედავ?
სინამდვილეა, თუ მოჩვენება...
ვუცქერ, ნახული რამ მომაგონდა
მაჯებზე ხუნდის ნიშნები ჩნდება:
სისხლის წვეთები... ციხეში ვნახე,
და ამ დროს იგი მე აქ მიხვდება?
ბედნიერებამ თავ-ბრუ დამხვია
ქალისამ ამ დროს, ვერ მოვითმინე.
მთვრალი ეშხითა და სიყვარულით,
მივიჭერ ქალთან მსწრაფლ მივირბინე.
თავად არ მესმის, თუ რასა ვსჩადი,
ხელებს ვუკოცნი, წავიდუდუნე:
„სიყვარულისთვის თუ საჩუქარი
მოიპოვება დედა-მიწაზე,
მე მეკუთნოდეს შენდამი ტრფობა,
სხვა არა მინდა მე მეტი მაზე.“
მითხარ, სიცოცხლევ, ჩემო საუნჯევ,
თვალთა სინათლევ, ბედის გვირგვინო,
ვინა ხარ, ვინა? გამაგებინე...
მითხარ სახელად რა მოგაქვიონო?“
ჩიტთა სტვენასთან, წყაროს ჩქერასთან,
ბულბულის ხმასთან ხმა შეურია
და გამაგონა ბედით დამტკბარმა:—
ის ხმა რაც მიყვარს, რაცა მწყურია
ნექტარი იყო სიკვდილის მკვლელი,
ცამდე ამყვანი და ამაზრზენი.
არ დააყოვნა, დაიწკრიალა:
„საქართველო ვარ—მე დედა შენი!“

**ვაჟა-ფშაველა.**

ლი დაჰყარო და ეინუდ-დოვლე თავის ჯარით თავრიზში შეუშვაო.

სათარ-ხანმა უპასუხა: იარაღს დავყრი, მაგრამ ეინუდ-დოვლეს-კი ვერ შევუშვებ თავრიზში, სანამ მეჯლისი არ დაადგენს მაგასო.

კონსტიტუციის აღდგენაზე ცნობის მიღების უმალ სათარ-ხანის ბინაზე და რევოლიუციონერების პოზიციებზე ააფრიალეს წითელი ბაირაღი.

**სათარ-ხანს თეირანში იწვევენ.**

სამხედრო მინისტრმა დეპეშით სთხოვა სათარ-ხანს: შაჰი გიწვევთ თეირანში, რომ აქ დაეხმარო ახალ სამინისტროს პარლამენტის მოწვევასა და სხვა საქმეებშიო.

სათარ-ხანმა უპასუხა: პარლამენტის შეკრებამდე შეუძლიან იმოქმედოს შაჰის მიერ დანიშნულ სამინისტროს, ხოლო ახალი სამინისტრო სჯობია მაშინ დაინიშნოს, როდესაც პარლამენტი შეიკრიბებაო. თავრიზს ვერ მივატოვებ, რადგან, მგონია, რომ საჭირო ვარ აქა. რაც უფრო ჩქარა მოიწვევთ პარლამენტს, მით უფრო ჩქარა დამშვიდდება ქვეყანაო.

**რევოლიუციონერების სახელოვანი გამარჯვება.**

რეშტელ რევოლიუციონერებს მეტად სახელოვნად აუღიათ ქალ. კაზვინი. გამარჯვებულებს დავლად აუღიათ ოთხი ზარბაზანი და კაზვინის გუბერნატორიც დაუტყვევებიათ.

# მოწერილი ამბები

**ქვემო ქიზიყი.** ქვემო ქიზიყში მთისავლის, ბურისას და ღვინისას და სხვა შირნახულისას ძალიან კარგი პირი უჩანს. იმედია, ჩვენი გლეხი ეხლა მაინც მოითქვამს სულს. ამინდი საუცხოვოა: თავის დროს წვიმა, თავის დროს დარი.

ბუნება ხელს უწყობს, სამაგიეროდ ადამიანების მეოხებით ქიზიყი ჭუჭყში მოდებულია: ამ თვის 8—9-ში ცნობილმა ვასო ბოშიაშვილმა მაჯვლა მინდვრის მეველე სოფ. ქედლისა საქმე ამნაირად ყოფილა: ვასო ბოშიაშვილს (ტყის მცველია) შეუნიშნავს, რომ ერთ გლეხს უკანა-მხარს, სახელდობრ „ქედურ კალოებთან“ მიუთვისებია სახელმწიფო ადგილი. ბოშიაშვილს უბძანებია ქედლის ნაცვლისთვის, ოქმი შეადგინა. ნაცვალიც შესდგომია ოქმის შედგენას, მარამ, როგორც შინ ნასწავლს-კაცს, კარგად არა სცოდნია ოქმის ფორმა. ამაზე გაჯავრებულა ბოშიაშვილი. იქ მდგომს მეველეს უთქვამს, მან არ იცის, ჯერ ესე იყოს ეს ოქმი და მერე გადასწორეთ, როგორც რიგიაო. რატომ შენ ეგ მითხარიო, აუღია ბოშიაშვილს და მეველესთვის თოფი დაუცია. ესეც მსწრაფლი განსამართლება. ბოშიაშვილი თავს დაიხსნის, იტყვის—სახაზინო ინტერესს ვიცავდიო.

თითქმის ოთხი თვეა, რაც ქვემო მაჩხაანის ქსენონს გამოემშვიდობა ექიმი რობიტაშვილი. მას შემდეგ მოვიდა მეორე ექიმი, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისიც გაექცა ჩვენს ქიზიყს. მიზეზი ამნაირის გულ დაუდებლობისა ექიმების მხრივ ის არის, რომ სოფლებზე გაწერილი ფული მათ სამაგიროდ თავის დროზე არ იკრიბება; ამ უკანასკნელის მიზეზი-კი ერთის მხრით გლეხების გაჭირება იყო წარსულ ორი წლის განმავლობაში და, მეორე მხრით კომიტეტის წევრთა და უფრო წინანდელ ბოქაულის ყურ-მოურუება ამ კეთილ-საქმეში.

ნამდვილი ექიმების მაგივრად ცრუ-ექიმები ჰყავს ქიზიყს. ასეთები მკითხავები, სოფლის ჯადოსანი ბებრები, და სხვანი არიან. როგორც უნდათ, ისე აჯერებენ ეს თვალთ-მაქციები ჩვენს გლეხს.

ამ ცრუ ექიმებში უფრო შესანიშნავია ენა-მოქარგულობით ი. მ—შვილი. როგორ იქნება, რომ 3—10 მანეთამდის არ აიღოს დღეში. რაკი ადგილობრივ ექიმი აღარ არის და ხალხსკი ესაჭიროება, რომელ სოფელს იტყვით, რომ იქიდან არ მიდიოდნენ ამ ცრუ ექიმთან მირზაანიდან, არბოშიკიდან, მაღაროდან, საქობოდან და სხვა სოფლებიდან. მეტიან ცხენით, ურმით, ფეხით; ხშირად ზურგზე ავათმყოფ აკიდებულნიც. თვითეულ ავადმყოფის ნახვაზე და რაღაც ამღვრეულის წყლის მიცემაზე ეს ექიმბაში იღებს 1—2 მანეთს.

—

აი, ერთი ნიმუში კიდევ ჩვენი ხალხის დაბეჩავებისა: 19 აპრილს სოფელ ჯუგაანის საზოგადოებას ყრილობა ჰქონდა. უნდა ამოერჩიათ კანდიდატი მღვდლისა, ეგრიტე მენთეშაშვილის მაგიერ, რომელიც, ეგზარხოსის კანცელარიის განკარგულებით, გადაყვანილ იქმნა სხვა მრევლში. ამის შესახებ მოწერილობაც იყო მამასახლისთან. მაგრამ რამდენიმე პირის წყალობით საქმე სხვანაირად გადატრიალდა შეეხნენ სულ სხვა საგანს. მღვდლის კანდიდატების არჩევის ნაცვლად, მამასახლისმა რამდენიმე პირის ჩაგონებით გამოაცხადა საზოგადოებაში: რადგან ჩვენის მასწავლებლის კოლა ალავერდოვისაგან შეწუხებული ვართ იმით, რომ მუშასა და ბიჭსა ჰყოლიაო, ამიტომ განაჩენი დაუდგინოთ, რომ ეს მასწავლებელი გადაყვანილ იქმნას თავის სოფელს ტიბაანში, ხოლო ტიბაანის მასწავლებელი რაჟდენ კიკილაშვილი გადმოყვანილ იქმნას ჯუგაანშიო. ეს მასწავლებელი ჩვენებურია, არც მუშას მოგვსთხოვს, არც ბიჭს, მასწავლებლის თანხებს კიდევ გავაქირავებთო. ხალხსაც რაკი გაიგო, რომ არც მუშას, არც ბიჭის ფულს არ გადავიხდით, და პირიქით შემოსავალიც გვექნება თანხების გაქირავებითაო, დიდის სიხარულით დასთანხმდა ამ წინადადებას. აიღეს და დაიწყეს ხელის მოწერა ქაღალდზე. რაზედაც აწერენ ხელს, არ იყო აღნიშნული ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენნაირად შეუძლიანთ ისარგებლონ სოფლის ნაძირალებმა ამ უსათაურო საზოგადოების მიერ ხელმოწერილ ქაღალდით. ასეთი უვიცობაა აქეთ. იმას კი ყურადღებას არ აქცევს სოფლის მამა, რომ სკოლის შენობაში წყალი ჩამოდის, კავები დაწოლილია და კედლები წყლით იჟღინთება.

**ქიზიყელი.**

# ხალხური ლექსი

(ჩაწერილი სოფელ კარში)

დამეხსენ, დედი, დამეხსენ,
ნუ მიკლავ ქალობასაო,
რათ მინდა გაყვე ცოლათა
დუშმანსა, შიტუასაო!
რას ვაქნევ ვაჟკაცს უგუნურს,
უშნოს, ტოტუოს და ტლანქსაო,
ვეფხვსა ნაზარდი არ იყოს,
არ ამშვენებდეს გვარსაო.
აბჯარ-ფარს რომ არ ისხამდეს,
არ ადმერთებდეს ხმალსაო,
მტერს არ ეკრძალოს ქორული
ლაშქრობა მისა ბარსაო,
კარზედ მომდგარსა ვერაგსა
ვერ დაახვედრებს ფარსაო;
სიტყვა-პასუხსა გაუფრთხის,
მწყრალია ზრდილობასაო,
წინაპართაც მოჰწყვეტია,
არ გმობს მომავალსაო.
მე მინდა ვაჟკაცთ-ვაჟკაცი,
არ მზისა დასარიდაი,
მხნეთა მხნე იყოს შინ, გარეთ,
მოყვარე, არა ფლიდია.
ლომ-ლომობდეს ფრანგულით,
მტერსა დაჰმართოს რიდია;
მოყვართ-მოყვარე, მოლად თემში
ღხინი—იმედი დიდია.
რა დაწვეს, ამას იტყოდე:
მზე ჩაესვენა, ბინდია,
ადგების, ამოესვენოს,—
მთვარე გეგონოს მშვიდია.
ეს არა ჰქმობდეს ვაჟკაცსა—
თვალით არ ვნახო ქმარიო,—
ესე ეტყოდა დედასა
გასათხოვარი ქალიო.

ამ ლექსის შინაარსი ძალიან წააგავს „ვეფხვის-ტყაოსნის“ იმ ადგილს, სადაც რუსთაველი ამბობს: თუ ვაჟკაცს ესა და ეს ღირსება, ესა და ეს თვისება არ ახლავს, იგი ვერ იზამს მიჯნურობასაო. ნათლად სჩანს აქედან, თუ რა დიდი კავშირია რუსთაველის ნაწარმოებსა და ხალხის ცხოვრების შორის.

ამასთან უნდა ითქვას, რომ ქართლში მრავალ ადგილას მოიპოვება თქმულება ტარიელზე, ავთანდილზე, ნესტან-დარეჯანზე და ფრიდონზე, რომელნიც ნაწყვეტ-ნაწყვეტს წააგვანან შინაარსით „ვეფხვის-ტყაოსნისას“. ერთ ამისთანა თქმულებას ს. ერთა-წმინდაში სიმღერაზედაც იტყვიან და ეძახიან „შეტიურს“ პირადათ ჩვენ სამი ვარიანტი ვცანით საყურადღებოდ და ჩავწერეთ, რომელთაც შემდეგში გაგაცნობთ მკითხველს.

**ი. კარგარეთელი.**

# რუსეთი

◆ **არა ჩვეულებრივი სიკვდილი.** მარტში თავი მოუკლავს 331, მოუკლავთ 266 და მთავრობას სიკვდილით დაუსჯია 43 კაცი, სულ 640 კაცი.

◆ **სიკვდილით დასჯა.** სასამართლოებს ამ თვეში სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 142 კაცისთვის. (იანვარში 173, თებერვალში 162 კაცი). სიკვდილით დაუსჯიათ 43 კაცი (იანვარში 10, თებერვალში 16). 37 კაცისთვის სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორგით შეუცვლიათ, დანარჩენების ბედი ჯერ არავინ იცის. სიკვდილით დასჯილთა რიცხვით პირველი ადგილი უჭირავს შიდა რუსეთს—26 კაცი (გადაწყვეტილი 79), მეორე—კავკასიას 8 კაცი (გადაწყვეტილი 33), მესამე—პოლონეთს 8, (გადაწყვეტილი 14), მეოთხე დასავლეთ რუსეთის გუბერნიებს 1 კაცი (გადაწყვეტილი 13) მეხუთე—ციმბირს და ბალტიის მხარეს—1—2 კაცი, სიკვდილით არავინ დაუსჯიათ.

◆ **ტერრორი.** ტერორმა იკლო. ტერორით დაზარალებულა 155 კაცი (იანვარში 17?, თებერვალში 190 კაცი), მოუკლავთ 88 კაცი. ერთი მესამედის გარდა (ვინც უცნობის ხელით მოკლულა) ტერორს ეკონომიური ხასიათი აქვს. მთავრებს მეთვალყურეებში კი მარცვა-გლეჯისაგან არის გამოწვეული. მთავრობის მოხელეებისაგან მოუკლავთ 44 კაცი, დანარჩენი 111 (72%), ვაჭრები და მექარხნეები არიან. ტერორის მხრივაც პირველი ადგილი შიდა რუსეთს უჭირავს—90, მას მოსდევს—კავკასია 23, პოლონეთი 18, დასავლეთ რუსეთის გუბერნიები—17, ციმბირი 6, ბალტიის მხარე—1. ქალაქებში 94, სოფლებში 61 მსხვერპლი.

◆ **„პოგრომები“ და ჩხუბები.** დაზარალებულა 122 კაცი (იანვარში 149, თებერვალში 126 კაცი). შიდა რუსეთში 44, კავკასიაში 26, დანარჩენ ადგილებში 22. მამასადამე მთავრობას სიკვდილით დაუსჯია, ტერორისტებს მოუკლავთ და ჩხუბში და პოგრომების დროს დაზარალებულა 320 კაცი. აქედან შიდა რუსეთში 190, კავკასიაში 56, პოლონეთში 28, დასავლეთ რუსეთის გუბერნიებში 26, ციმბირში 16, ბალტიის მხარეში 3.

◆ **თვითმკვლელობა.** როგორც ზევით აღვნიშნეთ, მარტის განმავლობაში თავი მოუკლავს 331 (იანვარში 325, თებერვალში 364). უმთავრესად თავს მოუკლავთ მუშებს და მოსწავლე ახალგაზრდობას.

◆ **მინისტრთა საბჭო.** „ვახშ“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: ხმა დადის, რომ მინისტრთა უმრავლესობა, გარდა ხომიაკოვის, კრივოშეინისა და კოკოვცოვისა, მოითხოვს საზღვაო შტაბის შტატების დამტკიცებას. თუ მეოთხე დუმამ თუ არ დაამტკიცებს, კაბინეტი სამსახურიდან გავა.

◆ **რევიზია.** მინისტრთა საბჭოს ერთხმად დაუდგენია, რევიზია უყონ პოლონეთს. რევიზიის წინამძღოლია გარშავის გენერალ-გუბერნატორი სკალონი, მაგრამ ამბობენ, რომ მას დაითხოვენ.

◆ **გაზეთი „რეჩი“ და ტოლმაჩევი.** როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ოდესის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების დროს ოდესის ენერალ-გუბერნატორმა ტოლმაჩევმა გაზეთ „რეჩის“ რამდენიმე ნომერს კონფისკაცია უყო. მიზეზი ის იყო, რომ „რეჩში“ იბეჭდებოდა პროგრესისტ კანდიდატების სია. როგორც რუსეთის გაზეთებს გაუგიათ, „რეჩი“ ზარალზე უჩივის ტოლმაჩევს.

**წერილი რედაქციის მიმართ.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადო და ღრმა პატივისცემა გამოუცხადო ყველა იმათ, ვინც რაიმე მონაწილეობა მიიღო ჩემს 25 წ. სცენაზე მოღვაწეობის დღესასწაულის გარდახდის დროს. კომისიის წევრებს: თ. ცისკარაშვილს, ვ. კახიძეს, ნიკ. მამინაიშვილს, ი. ვახვახიშვილს, ო. ჭიკაძეს, კ. ონიკაშვილს და დ. შიუკაშვილს, რადგან მათ თავს იდვეს საღამოს მოწყობა. ნ. გამყრელიძისას, მ ხატიაშვილისას, ე კარალევას. კ. ბელიძეს, ვ. მთვარელიშვილს, ს. ჯიჯავაძეს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის. თამარ ხატიაშვილისას სცენარიუსობისათვის. ო. ჭიკაძეს ხოროს მოწყობისათვის. თ. ხატიაშვილს, ა, მამაცაშვილს, ა. ლომიძეს, ნ. მაისურაძეს, ბ. ბახუტაშვილისას, თ. მაჭავარიანს, გ. მაჭავარიანს, მ. ქიქინაძეს, ნ. რუსიშვილს, მონადირეშვილს, ა. ბაქრაძეს, გ. მირიანაშვილს, ს. ჩიჯავაძეს. ი. გამყრელიძეს. ვ. მაისურაძეს, ა. სუხიტაშვილს, ვ ჯორბენაძეს. და ვ. სარალიძეს ხოროში მონაწილეობის მიღებისათვის. ალ. ვახვახიშვილს და მ. ცისკარაშვილს აპოთეოზში მონაწილეობის მიღებისათვის. ნ. მთვარელიშვილისას, გოგოლაძეს, ვ. კახიძეს, ი. დიდიას, ნ. ღუდუშაურს, კ. ბელიძეს, ა. გამყრელიძეს, ი. გამყრელიძეს. კ. ონიკაშვილს, დ. შიუკაშვილს, გ. ალიმბაროვს—ადრესების წაკითხვისათვის. თელავის საზოგადოებას, ნ. გოგოლაძეს, ელ. სულხანიშვილის, კ. გოგორაძეს, ა. გამყრელიძეს, ნინო და გაბო კეკელიძეებს და ი. ტოროშელიძეს—საჩუქრებისთვის. ტფილისიდან პ. გოთუას, გაბუნია-ცაგარლისას, ლ. ჩერქეზიშვილისას, ვ. და ნ. გამყრელიძეებს, ვ. პაატაშვილს, „კახეთის“ გამგეობის მოსამსახურეთ, მ. ლორთქიფანიძეს, ს. გამყრელიძეს; ქუთაისიდან ვ. პურცელაძეს, გარსევანიშვილს, ქუთაისიდან დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, იქაურ სცენის მოყვარეებს—დეპეშებით მილოცვისათვის. ტფ. დრამატიულ საზოგადოებას, აწყურის საზოგადოებას, ქუთ. დრ. არტისტებს: გ. ურბნელს, ი. ზარდალიშვილს, ან. მურუსიძეს, ან. პაპანტენს, პ. ბოთლიევს, პ. ზედგენიძეს, ვასო ბალანჩივაძეს, ვ. ბარველს, ალ. ყალიბეგიშვილს, კ. მესხს, ვ. როსელს, მიშა მარჯანიშვილს, ა. გუგუშვილს, ა. ჯაყელს, ვ. სანიკიძეს, ნ. დავითაშვილს, შალვა დადიანს, დ. ივანიძეს, ელ. ანდრონიკაშვილს და გრიგოლ ჩარკვიანს—ადრესების გამოგზავნისთვის და ყველა იმათ, ვინც თანაგრძნობა გამომიცხადა იმ საღამოზე დასწრებით.

**დ. აწყურელი.**

# მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8. დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო N 9/10. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევს 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) სააგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) სააგარაკო N 77 ა, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.),
2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის— სააგარაკო N 76 ა, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). სააგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).


ექიმი მ. ს. ხუნდაძე ქუთაისში ... ქალთა ... თვე ... 19—1 ... (წ.—6.—46)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
ჟ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეეტისიანცი: 11—12 ნახ. საკანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალ ებისა.

ს ა ღ ა მ ო თ:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმობით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ.—1—73)

დაიბეჭდა და დარიგდა საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიაში

ახალი არსენას ლექსი.

ეს გამოცემა შევსებულია მრავალის ახალი ცნობით. დაწვრილებით არის აწერილი არსენას თავგადასავალი ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის მიერ.
წიგნი დასურათებულია 12 სურათით, გარეკანი კი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ოთხი ფერით. წიგნი 32 გვ. და ღირს ორ შაურად. გამყიდველებს %% მორიგებით. ადრესი ტფილისი, სტ. „სორაპანი“.
(10—6.—2)

გაფრთ ხილება

რადგან დღემდე ჩვენი ეტიკეტების მსგავს ყალბ ეტიკეტებს ამზადებენ თავიანთ დაბალ საქონლის გასავრცელებლად. კოლოფებზე ხმარობენ იმავე ფერსა და მარკას და ამით აბათილებენ ჩვენ მაღალ ხარისხოვან პაპიროსებს:

„სიმპატიას“ 10 ცალი 5 კაპ. № 8 10 ცალი 5 კაპ.

აგრეთვე ჩვენი ფირმის სხვა პაპიროსებს, ამიტომ ვთხოვთ ჩვენ მუშტარს, ყურადღება მიაქციოს საქარხნო მარკას და გვარს

Н. И. Бозарджянцъ съ С-ми.

(10—ნას—8)

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ 1 მანეთიდან

ხელის მაშინები 25 მანეთიდან

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა.
(15—გ.ჟ.—8)

ამიერ-კავკასიის საქარხნო

ს ა წ ყ ო ბ ი

1897 წ. 1908 წ. 1888

ამ-ბის პროვოდნიკისა

ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, № 4.

სამშენებლო შენობისთვის ჭყიდის

პროვოდნიკ-ლინოლეუმს

საუკეთესო დასაგები იატაკებისთვის

ლინოლეუმი მაგიერობასა სწევს: პარკეტისას, იატაკის შეღებისას, მოზაიკისას, ხალიჩებისას, ფარდაგებისას, კლიონკისას და სხ.

ლინოლეუმი სჯობია იატაკის ყოველ გვარ დასაგებს იმით, რომ ინახავს იატაკს სინესტისა და სიცივისაგან, წყალს არ უშვებს, არ ხეხავს, არა ფუჭდება მჟავე სითხისაგან, ხმაურობას არ უშვებს, ადვილად იწმინდება და ყოველთვის ლამაზია.

ლინოლეუმს, როგორც იაფ დასაგებს, სიმკვიდრით, მოხერხებულობით და სილამაზით პირველი ადგილი უჭირავს იატაკის დღემდე არსებულ დასაგებებში, რასაც მოწმობენ საჩუქრები და ქების ფურცლები, მიღებული ამხანაგობის მიერ როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის გამოფენებზე.

ხარჯთ-აღრიცხვა და ნიმუშები ლინოლეუმისა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე.
(6)


სტამბა „ხინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. ამლაძე.